

Q3 2024

ენერგეტიკის სექტორის მიმოხილვა

Executive Summary

მოკლე შეჯამება

ენერგეტიკის სექტორმა საქართველოში 2024 წლის მესამე კვარტალში შერეული შედეგები აჩვენა. შიდა მოხმარება მნიშვნელოვანი ზრდით გამოირჩეოდა, თუმცა ექსპორტი საგრძნობლად შემცირდა გაზრდილი ადგილობრივი მოთხოვნისა და გარე ბაზრის გამოწვევების გამო. ჰიდროენერგეტიკა კვლავაც რჩება გენერაციის დომინანტ წყაროდ, რომელსაც თბოსადგურები და მცირე წილით ქარის ენერჯია ავსებს.

1. მოხმარება:


შიდა მოთხოვნა:

- საერთო მოხმარება Q3: 3,999.826 მლნ კვტ/სთ (-1.6% წ/წ).
- შიდა მოხმარება: 2,883.97 მლნ კვტ/სთ (+14% წ/წ).
- მოსახლეობის ელექტროენერჯიის მოხმარება Q3-ში გაიზარდა 7%-ით, რაც გამოწვეულია ტურიზმის ზრდით და საცხოვრებელი კერების გაზრდით.

კვალიფიციური მომხმარებლები:

- საერთო მოხმარების 29% მოდის მათზე.
- ძირითადი სექტორები: მეტალურგია (+15% წ/წ) და კრიპტოვალუტების მაინინგი (+345% წ/წ).

საქართველოს მოხმარება



Q3 2024

ენერგეტიკის სექტორის მიმოხილვა

Executive Summary

2. ექსპორტი

- ექსპორტირებული ელექტროენერგია: 288.14 მლნ კვტ/სთ, რაც წინა წელთან შედარებით შემცირდა 59%-ით.
- ძირითადი ბაზრები: თურქეთი (79.8%) და სომხეთი.
- 9 თვის ჯამური ექსპორტი: 1,045.14 მლნ კვტ/სთ (-29% წ/წ).

3. გენერაცია

- ჰიდროენერგეტიკა: გენერაციის მთავარი წყარო, რომელიც პირველ 9 თვეში აწარმოებდა 9,480 მლნ კვტ/სთ. მიუხედავად ამისა, Q3-ში 2%-იანი კლება დაფიქსირდა წინა წელთან შედარებით.
- თბოსადგურები: მესამე კვარტალში გამოიმუშავეს 575.94 მლნ კვტ/სთ, რაც 2023 წელთან შედარებით მცირე კლებაა.
- იმპორტი: საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერგიის მოცულობა შეადგენდა 36.98 მლნ კვტ/სთ, ძირითადად რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან.

4. პროგნოზი

- მეტალურგიის მოთხოვნა: მოსალოდნელია მნიშვნელოვანი შემცირება გლობალურ ბაზრებზე ფასების ვარდნის გამო.
- კრიპტოვალუტების მაინინგი: სავარაუდოა, რომ ეს სექტორი კიდევ უფრო გაძლიერდება, ნაწილობრივ კომპენსირებას გაუწევს სხვა სექტორების შემცირებას.
- წლიური მოთხოვნა: პროგნოზირებულია, რომ დარჩება სტაბილური ან მცირედით შემცირებული (<1%) 2023 წელთან შედარებით.
- გენერაცია: ჰიდროენერგეტიკა შენარჩუნდება 2023 წლის დონეზე, ხოლო თბოსადგურები მოერგებიან კვალიფიციური მომხმარებლების მოთხოვნებს.

